სოფლის განვითარების უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოსთან არსებული "სამოქალაქო კომიტეტის" სამუშაო შეხვედრა

მიმდინარე წლის 27 ივლისს ქ. თბილისის სასტუმრო „Holiday Inn Tbilisi"- ში გაიმართა სოფლის განვითარების უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოსთან არსებული "სამოქალაქო კომიტეტის" სამუშაო შეხვედრა, რომელშიც „უსაფრთხოების სფეროს მკვლევართა ასოციაცია" (უსმა/USMA) იღებდა მონაწილეობას, როგორც სოფლის განვითარების პოლიტიკის განხორციელების პროცესში დაინტერესებული მხარე.

„სამოქალაქო კომიტეტის" სამუშაო შეხვედრა მისალმების სიტყვით გახსნეს: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველმა მოადგილემ, ამავე დროს საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარემ - **გელა ხანიშვილმა**; საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის სოფლის განვითარების, სამოქალაქო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის პროგრამების მენეჯერმა - **ქეთევან ხუციშვილმა** და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) კონსულტანტმა - **კადრი ტილემანმა.** აღნიშნულ შეხვედრას ასევე ესწრებოდა გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ეროვნული მენეჯერი - **ნოდარი კერესელიძე**, რომელმაც ასევე მისალმების სიტყვით მიმართა შეხვედრაზე შეკრებილ დამსწრე საზოგადოებას.

სამუშაო შეხვედრის ფარგლებში, დრო დაეთმო სახელმწიფო პროგრამების განხორციელების პროგრესებს და პროფესიულ მოსაზრებებს. კერძოდ, **გიორგი ჯიბლაძემ** - ა(ა)იპ საქართველოს სოფლის განვითარების სააგენტოს დირექტორის მოადგილემ და **თორნიკე კაპანაძემ** - პროექტების მართვის დეპარტამენტის უფროსმა წარადგინეს პრეზენტაცია თემაზე: *„LEADER/CLLD მიდგომაზე დაფუძნებული ადგილობრივი განვითარების პროგრამა".*

ამავე შეხვედრის სამუშაო ფარგლებში **ნინო ტიკურიშვილმა** - საქართელოს ადგილობრივი განვითარების ჯგუფების ასოციაციის თავმჯდომარემ წარადგინა პრეზენტაცია თემაზე: *„LAG-ის ადგილობრივი განვითარების სტრატეგიის შემუშავების პროცედურა - სახელმძღვანელო ელემენტები".*

შეხვედრის დასასრულს **კადრი ტილემანმა** წარადგინა კვლევა *„LEADER/CLLD-ის გავლენის შესახებ დაბალანსებულ ტერიტორიულ განვითარებაზე ევროკავშირში (2017-2020 პერიოდი)“.*

სოფლის განვითარების უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოსთან არსებული “სამოქალაქო კომიტეტის” სამუშაო შეხვედრაზე, „უსაფრთხოების სფეროს მკვლევართა ასოციაციის“ (უსმა/USMA) საექსპერტო საბჭოს თავმჯდომარემ - **გოჩა ცოფურაშვილმა** სრული მხარდაჭრა გამოხატა სოფლის განვითარების პოლიტიკის და მასზედ არსებული „სამოქალაქო კომიტეტის“ განვითარებაზე. შეხვედრის ფარგლებში ბატონმა გოჩა ცოფურაშვილმა ასევე გასცა მნიშვნელოვანი რეკომენდაციები, რომელთა განხორციელება სოფლის განვითარების პოლიტიკის წინსვლისთვის ძალზედ მნიშვნელოვანია.

„უსაფრთხოების სფეროს მკველვართა ასოციაციის“ (უსმა/USMA) მხრიდან „სამოქალაქო კომიტეტის“ სამუშაო შეხვედრას ესწრებოდნენ: ასოციაციის საექსპერტო საბჭოს თავმჯდომარე - **გოჩა ცოფურაშვილი**; ასოციაციის პროექტების კოორდინატორი და მონიტორინგის ცენტრის უფროსი - **თამარ ახალკაციშვილი.**

ევროკავშირი
საქართველოსთვის
Project funded by the European Union
UN
DP
სოფლის განვითარების
ხელშეწყობა
საქართველოში
IMPROVING RURAL
DEVELOPMENT
IN GEORGIA

IMPROVING RURAL
DEVELOPMENT
IN GEORGIA

IMPROVING RURAL
DEVELOPMENT
IN GEORGIA


LEADER/CLLD


IMPROVING RURAL
DEVELOPMENT
IN GEORGIA